ხათუნა ივანიშვილი
ფსიქოანალიტიკოსი
საქართველოს ფსიქოანალიტიკური საზოგადოება

ქალ-ქანდაკება, როგორც სიმბოლო: ძალაუფლების, თავისუფლებისა და თვითიდენტიფიკაციის ვიზუალური ენა

განდევნილის დაბრუნება

მოგეხსენებათ, ფსიქოანალიზი ეფუძნება შიდა ფსიქიკური კონფლიქტის იდეას - რომ ადამიანის ფსიქიკაში მუდმივი დაპირისპირებაა ინსტინქტურ იმპულსებსა და ზნეობრივ-სოციალურ შეზღუდვებს შორის. ფროიდისა და ბროიერის 1892 წლის ერთობლივ ნაშრომში *ისტერიის ფსიქიკური მექანიზმების შესახებ. შესავალი გამოცემა,* გაჟღერებული იყო ფსიქოანალიზის ერთ-ერთი საკვანძო პრინციპი: "ისტერიით დაავადებული ადამიანი მეტწილად განდევნილი მოგონებებისგან იტანჯება"; როდესაც რაიმე სურვილი, აზრი ან ემოცია მიუღებელია ადამიანის მორალისთვის ან რეალობისთვის, გონება მას გაუცნობიერებლად ივიწყებს; მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის ქრება — ის უკვე არაცნობიერად აგრძელებს არსებობას და თავს იჩენს სიზმრებში, ყოველდღიურ ცხოვრებაში, ე.წ. წამოცდენებში, შემთხვევით მოქმედებებში, ნევროზებში და ქცევით აშლილობებში. "ის, რაც განიდევნა, ბრუნდება, როგორც სიმპტომი" (ზ. ფროიდი, 1917). ანუ — განდევნილი შინაარსი ცნობიერებაში ბრუნდება, მაგრამ იმგვარად, რომ სუბიექტს არ შეუძლია მისი ცნობა და სწორედ ამიტომ გადაიქცევა

ფიგურა 1ჩერინგ- ქროსი

ის სიმპტომად. ეს არის განდევნილი მოგონების ირიბი დაბრუნება - მისი პირდაპირი გაცნობიერება შეუძლებელია, რადგანაც განდევნის ძალა არ აძლევს ცნობიერებაში პირდაპირი დაბრუნების საშუალებას.

სიმპტომი, როგორც მონუმენტი: ფროიდის ანალოგია

ნაშრომში *ხუთი ლექცია ფსიქოანალიზის შესახებ (1910),* ზიგმუნდ ფროიდი სიმპტომს მახვილგონივრულად ადარებს ლონდონის მონუმენტებს;

იგი მოგვითხრობს დედოფალ ელეონორას შესახებ, რომლის დასაფლავების პროცესიის დასასვენებელ ადგილებზეც მეფემ მეცამეტე საუკუნეში მემორიალური სვეტები აღმართა. ფროიდის აზრით, ისტერიით დაავადებული ადამიანი იმ ლონდონელს ჰგავს, რომელიც დღეს ჩერინგ-კროსის (ფიგურა 1)მონუმენტთან დადგება და იტირებს დედოფლის გარდაცვალების გამო ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი, თანამედროვე ცხოვრებით იცხოვროს. ეს ნიშნავს, რომ:

•*სიმპტომი არის* ძეგლი: ის წარსულის ტრავმული მოვლენის „მონუმენტია“, რომელიც არაცნობიერშია აღმართული.

•*სიმპტომი არის* წარსულის ტყვეობა: ადამიანი იტანჯება (მოგონებებისგან), ისევე როგორც ქალაქი ინახავს საუკუნეების წინანდელი ტრაგედიის კვალს ქვის ქანდაკებებში.

•*სიმპტომი არის* ვიზუალური ენა: ქანდაკება (ისევე როგორც სიმპტომი) არის გაქვავებული ემოცია, რომელიც შეხსენებაა იმისა, რაც დავიწყებას უნდა

ფიგურა 4

ფიგურა 2 დელაკრუა "თავისუფლება"

მისცემოდა, მაგრამ, „განდევნის“ ნაცვლად, „მონუმენტად“ იქცა.

ფიგურა 5 ჰეკატე

ანტიკურ ეპოქაში იდეებს და აბსტრაქტულ ცნებებს ხშირად გამოსახავდნენ მახვილით, შუბით ან ფარით აღჭურვილი, ქალაქებისა თუ სახელმწიფოების მფარველი ქალ-ღვთაებების სახით (ფიგურა.4, 3). მსგავსი ფიგურები მულტიფუნქციური სიმბოლური სისტემის ნაწილს წარმოადგენენ: ისინი ერთდროულად უკავშირდებიან სიცოცხლის დაცვასა და ძალის დემონსტრირებას. ქანდაკებაში ასახული „ მებრძოლი ქალის“ სახე აერთიანებს მფარველობისა და დისციპლინის ფუნქციებს — მფარველობასა და შიშს, სიყვარულსა და დაქვემდებარებას. საფრანგეთის რევოლუციის (1789) ეპოქაში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა თავისუფლების, რესპუბლიკისა და სამშობლოს ალეგორიულმა გამოსახულებებმა, რომლებიც ხშირად წარმოდგენილი იყო ხმლიანი, შუბიანი ან დროშის აღმმართავი ქალის ფიგურის სახით. (ფიგურა 2)

მონუმენტური ქანდაკებების სიმბოლური დინამიკა, როგორც წესი, მჭიდროდ უკავშირდება ქვეყნის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ტრანსფორმაციებს. მათი ფორმა, განლაგება და შინაარსობრივი დატვირთვა ასახავს ღრმა კულტურულ და სოციალური ძვრებს, ეროვნული იდენტობის ხელახალი კონსტრუირების პროცესში ისინი ერთ-ერთ ცენტრალურ ვიზუალურ და ემოციურ მედიატორად გვევლინებიან. ამის შედეგად, ისინი არა მხოლოდ მნიშვნელობას, არამედ სიმბოლურ დატვირთვას, ფორმას და ინტერპრეტაციის პოტენციალსაც იცვლიან.

სწორედ ამ განდევნილი და უცნობი ფსიქიკური მასალის „გადატანას“ ახდენს კოლექტიური ფანტაზია ქანდაკების ფიგურაში სიმბოლური დედის სახით - რადგან ის ქვეყნის სიმბოლოა, მკვებავი დედა — როგორც პირდაპირი, ისე სიმბოლური მნიშვნელობით — რომელიც განასახიერებს სიცოცხლეს (ნაყოფიერებას) და სიკვდილს (შიმშილს).

კომპულსიური განმეორება

ამ პროცესში უმნიშვნელოვანესია ზიგმუნდ ფროიდის აღმოჩენა: რომ ნევროტულ სიმპტომებს, რომლებიც ხშირად ალოგიკური გვეჩვენება, რეალურად გააჩნიათ ფარული ემოციური მნიშვნელობა. ეს არის განდევნილი მოგონებები — წარსული, რომელიც არასოდეს იკარგება და არაცნობიერში აგრძელებს არსებობას. როდესაც ეს არასასურველი აზრები ცნობიერებაში ბრუნდება, სიმპტომი ქრება, რადგან ის მხოლოდ ამ ემოციების შენიღბული გამოხატვა იყო. ამას ეწოდება კომპულსიური განმეორება. ამგვარად, კომპულსიური განმეორება მუშაობს ინდივიდუალურ ფსიქიკაში, ხოლო განდევნილის დაბრუნება — კოლექტიურ და კულტურულ დონეზე. თუმცა ორივე ემორჩილება ერთსა და იმავე ფსიქოანალიტიკურ ლოგიკას: განდევნილი ყოველთვის ბრუნდება; ტრავმა, რომელსაც ვერ გავუსწორეთ თვალი, ვერ გავაცნობიერეთ და ვერც სიმბოლურად გამოვხატეთ, მოდის არა როგორც ისტორია ან მეხსიერება, არამედ როგორც ქცევა, კრიზისი, ძალადობა, ფსევდო-იდეოლოგია ან კოლექტიური სიმპტომი. ამავე ლოგიკის თანახმად, განდევნილი ბრუნდება არა მხოლოდ სიზმრებსა და

სიმპტომებში, არამედ კულტურულ სიმბოლოებში — ამას მოგვიანებით განვიხილავთ ქართლის დედის ქანდაკების მაგალითზე.

მონუმენტური ქალ-ქანდაკებების სიმბოლური დინამიკა

ფიგურა 6 შვეიცარიის ეროვნული მუზეუმი ციურიხში.

ქალ-ქანდაკებების სიმბოლური მნიშვნელობების კვლევის იმპულსი მომცა ციურიხში, შვეიცარიის ეროვნულ მუზეუმში წარმოდგენილმა ქალღმერთ ჰელვეციას ფიგურამ (ფიგურა 6), რომელიც შვეიცარიის ეროვნული იდენტობის ალეგორიაა, ერთგვარი ვიზუალური მეტაფორა. თეთრ მაისურსა და ჯინსებში გამოწყობილი, გრძელი ჭოკით ხელში მდგომი ჰელვეციას ფიგურა იმდენად ბუნებრივად დგას ინტერიერში, რომ თავდაპირველად მუზეუმის თანამშრომლად აღვიქვი. სწორედ ცოცხალი და მკვდარი ფორმის ვიზუალური კონტრასტი, რომელიც მნახველის შინაგან პროექციებს აღვიძებს, ახდენს ფროიდისეული შემზარავის „Unheimlich“ ეფექტს განცდას, რაც არ არის უბრალოდ "საშიში" — ეს არის რაღაც ნაცნობის დაბრუნება უცხო სახით, განდევნილის, დავიწყებულის მოულოდნელი და შემაძრწუნებელი გამოჩენა.

კონსერვატიული ფორმის ქანდაკების ესოდენ მოულოდნელი ტრანსფორმაცია, რაც სხვადასხვა ეპოქის მხატვრულ გამოხატულებათა ცვლილებას ასახავს, საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების თანმდევი ღრმა შინაარსობრივი ძვრების მანიშნებელია. ფსიქოანალიტიკური ხედვა გვეხმარება გავიგოთ, რატომ იწვევს ჩვენში შიშს თუ ზაფრას გარკვეული ქანდაკებები.

ქართლის დედა როგორც „ტრანსფერული ობიექტი“

ფიგურა 7 ქართლის დედა, თბილისი

სწორედ ფორმათა ამ შეპირისპირებამ გამახსენა ქართლის დედად წოდებული, ხმლიანი ქალის ქანდაკება (ფიგურა 7) , რომელიც უკვე ათწლეულებია, გადმოსცქერის თბილისს. ქალაქის ყოველდღიურობაში ის შეიძლება დავინახოთ როგორც სარკე, რაშიც აირეკლება კონკრეტული ეპოქის სტაგნაცია, მოლოდინი ან გაუცნობიერებელი დაძაბულობა.

ფიგურა 8. რუსეთი ვოლგოგრადი

მიუხედავად იმისა, რომ ქართლის დედის ქანდაკება ეროვნულ მოტივებს ატარებს, ამავე დროს ის მიეკუთვნება იმ ხმლიანი ქალების მონუმენტურ სერიას, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაიდგა სხვადასხვა საბჭოთა რესპუბლიკაში და სოციალისტური ბლოკის ზოგიერთ ქვეყანაში (კონკრეტულად, ალბანეთში). მათი ფუნქცია იყო ერის გმირული მეხსიერების ალეგორიზაცია ქალის ფიგურით. ასეთი ქანდაკებებია:

1. **დედა-სამშობლო გიხმობს!** (რუსეთი, ვოლგოგრადი, 1954). ვოლგოგრადში (ყოფილი

სტალინგრადი) მდებარე მონუმენტი „დედა-სამშობლო გიხმობს!“(*ფიგურა 8)* საბჭოთა იდეოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი ვიზუალური მანიფესტაციაა. ქალის ფიგურა ხმლით ხელში არამხოლოდ მოწოდებაა, არამედ ბრძოლის სიმბოლოც, ფიგურა არ შეცვლილა არც ვიზუალურად და არც სახელობითად, რაც მიუთითებს რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების მცდელობაზე — გააგრძელოს საბჭოთა სამხედრო მეხსიერების კულტივაცია. სიმბოლური დატვირთვა უცვლელად აგრძელებს 1941-1945 წლების სამამულო ომის იდეოლოგიურ ხაზს.

ფიგურა 9 დედა უკრაინა, კიევი

2. დედა უკრაინა (ყოფილი დედა-სამშობლო, კიევი, 1981)

უკრაინის დედის ქანდაკება(*ფიგურა 9*) არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მონუმენტს გადაეცეს ახალი იდენტობა. საბჭოთა ეპოქაში შექმნილი ეს ქანდაკება ატარებდა ქალის სახით განსახიერებული სახელმწიფოს მფარველობით ფუნქციას — ხელში ეჭირა ფარი საბჭოთა გერბით და მახვილი. 2023 წელს, რუსეთ-უკრაინის ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ, ქანდაკების საბჭოთა სიმბოლიკა (ნამგალი და ურო) ჩანაცვლდა უკრაინის ეროვნული გერბით — სამკაპით. ქანდაკებას ასევე ოფიციალურად შეეცვალა სახელწოდება და „დედა-სამშობლო“ იქცა „დედა უკრაინად“. ეს ცვლილება ეხმიანება გეოპოლიტიკურ დ კულტურულ მეტამორფოზს - მასში აისახა ეროვნული იდენტობის გაძლიერება და საბჭოთა მემკვიდრეობისგან დისტანცირება. ამით ქანდაკება იქცევა ნაციონალური სუვერენობის მატარებელ კულტურულ არტეფაქტად.

ფიგურა 10 დედა სომხეთი , ერევანი)

3. დედა სომხეთი (ერევანი, 1967) ეს ქანდაკება „დედა სომხეთის“(*ფიგურა 10*) სახელით სტალინის ძეგლის ნაცვლად დაიდგა და უნდა წარმოედგინა ეროვნული ძალა და გამარჯვება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მისი სიმბოლური ენის მოდელი პრაქტიკულად არ შეცვლილა. ქალი დგას თავდაცვით

პოზაში, მის სიმბოლიკას კვლავაც სდევს საბჭოთა სტილის იდეოლოგიური ნიშნები. ქანდაკების არც სახელწოდებას, არც შინაარსობრივ ინტერპრეტაციას არ განუცდია არსებითი ცვლილებები. ეს უცვლელობა გარკვეულწილად მიანიშნებს იმაზე, რომ ქანდაკება მდგრადობის და ჩაკეტილი ისტორიული ნარატივის მფარველ ფიგურად განიხილება. შედეგად, ის საბჭოთა სახელმწიფოს დისკურსში რჩება — ეროვნული ფორმით, მაგრამ იმპერიული შინაარსით.

4 დედა ალბანეთი (ტირანა, 1971) დედა ალბანეთის ქანდაკება საბჭოთა და კომუნისტური მონუმენტური სტილის ტიპურ წარმომადგენლად უნდა განვიხილოთ. ფიგურა შეესაბამება სტანდარტულ იკონოგრაფიას — მჭიდროდ დაკავშირებულია სახელმწიფოს სამხედრო-საზოგადოებრივ იდეოლოგიასთან. ალბანეთის კომპარტიის დამარცხების მიუხედავად, ქანდაკება უცვლელად დგას და ინარჩუნებს იმ დროის სიმბოლურ ხაზს. მისი უცვლელობა შეიძლება განიმარტოს, როგორც ერთგვარი ისტორიული ინერციის ნიშანი — სიმბოლოს გარდაქმნის საჭიროება ან სათანადოდ არ არის გააზრებული, ან არსებული რეჟიმი (თუნდაც პოსტიდეოლოგიური) არ აქცევს მას პრიორიტეტად.

ქართლის დედის ქანდაკების სიმბოლური ევოლუცია - ორი დედა

ელგუჯა ამაშუკელის მიერ 1958 წელს შექმნილ „ქართლის დედას“ მარჯვენა ხელში ხმალი უჭირავს (მტრის წინააღმდეგ), მარცხენაში კი ღვინის თასი (სტუმრის მისაღებად). ქანდაკების ავტორი ამ ორმაგი სიმბოლოთი ასახავს ტრადიციული ქართველი ქალის არქეტიპს: მოსიყვარულე, მზრუნველ დედას და ერთდროულად გმირ დამცველს. ქართლის დედის ქანდაკება თავის თავში რამდენიმე სხვადასხვა იდეურ ნარატივს იტევს. თავისი არსით, ის თავისუფლების სიმბოლოა. საბჭოთა პერიოდში ის კარგად ჯდებოდა იმდროინდელ პატრიოტულ იდეოლოგიაში. კრიტიკოსი გიორგი გაჩეჩილაძე 1965 წელს წერდა: „ქართლის დედას არ აქვს შემტევი განწყობილება, იგი სიკეთის, სიმშვიდისა და ჰარმონიის პიედესტალზე დგას და მისი ძლიერების რისხვა (და არა მუქარა) მუდამ თავდაცვითი ხასიათისაა“. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ქართლის დედა დღესაც კვლავაც “უმწიკვლო” სიმბოლოდ რჩება, ხოლო მისი

კრიტიკული წაკითხვა ხშირად არაერთგვაროვან რეაქციებს იწვევს. ფორმალურად უცვლელია; საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქანდაკების სიმბოლიკამ ერთგვარად ეროვნული დამოუკიდებლობის იდეის სიმბოლოდ გადაინაცვლა. მიუხედავად ამისა, თავად ქანდაკება - მისი პოზა, ატრიბუტიკა და გამომეტყველება უცვლელი დარჩა - გარდა ერთისა: 1997 წელს ძველი ხის ქანდაკება უფრო დიდი ლითონის ასლით ჩაანაცვლეს. ამ, ერთი შეხედვით ტექნიკური ცვლილებიდან, არაერთი სემიოტიკური კითხვა ჩნდება: რატომ გახდა საჭირო ძველი ქართლის დედის „გადიდება“? ვხედავთ ორი დედის ფიგურას — პატარას და დიდს, ნამდვილს და გადიდებულ ასლს, იდეალიზებულ „დედას ქართვლისას“ და, საბჭოთა, „მაღალ მორალურ კოლექტიურ მშობელს, სოციალისტური დისკურსის ნაწილს - „სახელმწიფოს მიერ შექმნილ დედას“, რომელიც აერთიანებს ერისა და სოციალისტური იდეოლოგიის იდეალებს“ (Leshaj. რამდენად შესაძლებელია, რომ თბილისის თავზე მდგარი ქართლის დედა - ტოტალიტარული ქვეყნის მიერ დაგეგმილი სიმბოლო - თავისუფლების სიმბოლოდ მოგვევლინოს?

ქალ-ქანდაკება, როგორც სიმბოლო:

სსრკ-ს დაშლის შემდეგ, მეოცე საუკუნის 90-იანი წლებში შექმნილი ნარატივები ქართლის დედას მაკასტრირებელ დედის სიმბოლოდ განიხილავენ (გიორგი მაისურაძე, ზურაბ ჭიაბერაშვილი), ასევე, როგორც ფალიკური სიმბოლოს დაკარგვასთან დაკავშირებულ ფსიქოზურ ფანტაზიას (გიორგი მაისურაძე), ქანდაკება შორიდან აკვირდება შვილებს, როგორც მორალურ ზედამხედველი (ნანა აბლოთია),

ორი დედა - ერთი ისტორია

ფიგურა 11 ქართლის დედის ორი ქანდაკება, 1997წ

მოცემული ფოტო ასახავს ერთდროულად „ქართლის დედის“ (*ფიგურა 11*)ორ ქანდაკებას, იმ მომენტს, როდესაც ძველი ქანდაკება ახლით ჩანაცვლდა, ხოლო ძველი ჯერ არ იყო აღებული. გარკვეული პერიოდის განმავლობაში ეს ორი ქანდაკება ერთად იდგა.

ეს სურათი ბევრმა ადამიანმა ნახა, მე ერთ- ერთი მათგანის ამბავს მოგიყვებით: ის იყო შუა ხნის მამაკაცი, ალკოჰოლისკენ მიდრეკილი. როცა გაორებული ქართლის დედა დაინახა., მოულოდნელობისაგან შიშის ზარი ეცა - იფიქრა, რომ გაგიჟა და შემზარავი ხმით ჰკითხა გვერდით მდგომ მეგობარს, რამდენს ხედავო. მეგობარმა ახედა და მშვიდად უთხრა, ორი ცალიაო. მათ რეაქციები იმდენად განსხვავებული იყო, რომ გამოიწვია ფიქრი- რატომ მოხდა ასე? როჯერ მანი-კირლის თანახმად, ჩვენ გარეგან ობიექტებში (ქანდაკებებში) ვეძებთ იმას, რასაც ქვეცნობიერად ველოდებით შინაგანი სამყაროდან. შინაგანი ობიექტების პროექცია გარესამყაროზე გარესამყარო ირეკლავს ჩვენს შინაგან ფსიქიკურ რეალობას.

ამ ჭრილში, ერთი და იმავე პიროვნებაში შეიძლება თანაარსებობდეს სხვადასხვა წარმოდგენა თავისუფლებაზე, რადგან ტრავმულმა გამოცდილებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს საფრთხის აღქმაზე სხვადასხვა პოლიტიკურ და სოციალურ პირობებში. ადამიანი, სადაც არ უნდა წავიდეს, საკუთარ თავს აკვირდება გარემოში, როგორც სარკეში. მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენ გარეგან რეალობაში ვეძებთ იმას, რასაც ქვეცნობიერად ველოდებით საკუთარი შინაგანი სამყაროდან. გარესამყარო ირეკლავს ჩვენს შინაგან ფსიქიკურ რეალობას.

ეს მამაკაცი ნაშვილები იყო, რის შესახებაც მან თითქოს არაფერი იცოდა, თუმცა გარკვეული სახის ქცევისა და სხვა მომენტების გამო, ასეთ ფიქრი სავარაუდოდ გასჩენია და არ დაუშვია. ეს ორი ძეგლი ერთად, ორ დედას ნიშნავდა, თითქოს

მისი არაცნობიერი შიშის პროექცია მოხდა. რომელია ჩემი ნამდვილი დედა ნიშნავს კითხვას- ვინ ვარ მე სინამდვილეში?

ისტორიულ და კულტურულ კონტექსტშიც გადავიტანოთ. სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ძველი ქართლის დედა ახლით ჩანაცვლდა, საქართველო საბჭოთა იმპერიისგან გამოყოფისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების რთულ პროცესს გადიოდა. ამ გარდამავალ ეპოქაში აქტიურდება იდენტობის ფუნდამენტური კითხვა: ვინ არის „ნამდვილი“ დედა-სამშობლო? ძლევამოსილი, მფარველი და ყოვლისშემძლე „დიდი დედა“, თუ დაჩაგრული, პატარა ქვეყანა? რამდენად უსაფრთხოა ამ ნამდვილი დედის შვილობა, თუ იგი თავდასხმის ობიექტი გახდება? ამ დროს ხდება ნარატივის შეცვლაც- მფარველი დედა შეიძლება მაკასტრირებელი გახდეს… სწორედ ამ ვითარებაში იწყებს გარდაქმნას დედა-სამშობლოს შესახებ არსებული ნარატივიც. მფარველი და მკვებავი დედის სახე თანდათან შეიძლება გადაიქცეს მაკონტროლებელ, მაკასტრირებელ და შთანმთქმელ დედობრივ ფიგურად. ამგვარი ამბივალენტობა კარგად აისახა ქართულ კულტურულ მეხსიერებაშიც. აკაკი წერეთელი თავის ლექსში „სატრფოს“ სწორედ იმ მატყუარა და მაცდურ ძალაზე მიანიშნებს, რომელიც სიყვარულისა და მზრუნველობის ნიღბით მოქმედებს:

„მეგულები ციხეში,
ცხრაკლიტულში მჯდომარე...
შეთვისებას გიპირებს
გაიძვერა მოყვარე!

ტკბილად გაჭმევს, ტკბილს გასმევს,
შეზავებულს განგითა;
დედის ხმაზედ გიმღერის
დედინაცვლის ჩანგითა.“

აქ „დედის ხმა“ და „დედინაცვლის ჩანგი“ ქმნის მოტყუებული სიყვარულის ძლიერ მეტაფორას: ის, რაც გარეგნულად ზრუნვასა და მფარველობას ჰგავს, შესაძლოა რეალურად დამორჩილების, დამოკიდებულებისა და თავისუფლების დაკარგვის

წყარო აღმოჩნდეს. ამ თვალსაზრისით, ქართლის დედის თანამედროვე ინტერპრეტაციებიც სწორედ ამ დაძაბულობას ასახავს — საზღვარს მზრუნველ დედასა და ძალაუფლების მატარებელ დედობრივ ფიგურას შორის, რომლის მიმართაც სიყვარული, შიში, ერთგულება და წინააღმდეგობა ერთდროულად არსებობს.

მკვებავი დედა-სამშობლო, რომელიც მახვილს აშიშვლებს, გარდაიქმნება ფალიკურ, არქაული ტიპის დედობრივ ობიექტად — დაუნდობელ ქალღმერთად, რომელიც შურისძიებისკენ უბიძგებს თავის შვილებს. ეს იწვევს კასტრაციულ ფანტაზიებს. ქართლის დედის ფიგურა იზოლირებულია — მამა არ ჩანს. ფსიქოანალიზის პერსპექტივით, ეს არყოფნა ოიდიპური მამის სიკვდილის მანიშნებელია; მის ადგილს ნარცისული მამის ფიგურა იკავებს — მოძალადე, დამპყრობელი ობიექტი. კასტრაციის თავიდან აცილების ერთადერთი გზა ტოტალიტარული ფსიქოზური ორგანიზაციის აღიარებაა, სადაც დომინირებს ყოვლისშემძლე დედობრივი იმაგო, რომელიც საპირისპიროა მისი სიცოცხლის მომნიჭებელი და მკვებავი როლისა.

პიეტა: ბავშვის თვალით დანახული ტკივილი

ფიგურა 12

თბილისის ქუჩებში 2024-2025 წლის ნოემბერ–დეკემბერში მიმდინარე დრამატული მოვლენები-მიტინგები და მთავრობის პოლიტიკის მოწინააღმდეგეთა დარბევები, ერთმა 13 წლის გოგონამ სიმბოლურად გამოხატა ქართლის დედის ფიგურის ჩასმით თავის ნახატში, რომელსაც შემთხვევით სოციალურ ქსელში გადავაწყდი.(ფიგურა 12) მის მიერ შექმნილ ნახატში ეს ქანდაკება ახალ ინტერპრეტაციას იძენს. ეს აღარ არის ტრადიციული ქართლის დედა ფიალით და ხმლით ხელში. ის კვარცხლბეკიდან ჩამოდის, როგორც ღვთისმშობლის მსგავსი ხატება,

თავზე ნიმბით, რაც მის ღვთაებრივ მფარველობაზე მიანიშნებს და ღვთისმშობელ მარიამთან აიგივებს. ნახატი შესრულებულია პიეტას სტილში: ქართლის დედა ეხვევა სახედასისხლიანებულ ნაცემ ახალგაზრდას. ამ კონტექსტში ქართლის დედა ხდება ნუგეშისმცემელი, სულიერი და ფიზიკური ტკივილების შემამსუბუქებელი — ქრისტესა და მარიამის ფიგურების ერთდროული ტრანსფერული ობიექტი. ეს არის პასიური იმედის ფანტაზმი, ბავშვის მუდარა, რომ სტატიკური, გაქვავებული დედა სამშობლოს სიმბოლო თანამგრძნობ, მფარველ ძალად გადაიქცეს.

აქ კვლავ დავუბრუნდით ფსიქოანალიზსა და დედა-შვილის დიადურ ურთიერთობას: დედისა და მისი ფსიქიკის მუშაობის წყალობით, რომელიც ბავშვის ტკივილს იტევს, ბავშვის სასიცოცხლო მოთხოვნილება გადამუშავდება და სურვილად იქცევა. მხოლოდ სურვილს შეუძლია შვას აზროვნება — რაც სიამოვნებაა და ადამიანის განუყოფელი პრივილეგიაა. თუმცა აზროვნება მტკივნეულიცაა და ზოგჯერ საშიშიც, რადგან აზროვნება ნიშნავს სუბიექტად არსებობას, სხვებისგან განსხვავებას, ყველა იმ შინაგანი, მაგრამ აგრეთვე გარე და პოლიტიკური რისკით, რაც ამას ახლავს. თუ დედა-შვილის ადრეული დიადური კავშირი ხანგრძლივად წყდება, მათ შორის არსებული სასიცოცხლო ემოციური ბმა ირღვევა. დღეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თვალსაწიერიდან არ გამოგვრჩეს აზროვნების პროცესების განადგურების მრავალგვარი ფორმები, რადგან ყველაფერი გაცილებით უფრო სერიოზულია, როდესაც საქმე მასებს ეხება. აზროვნებამ შეიძლება ტკივილი მოგვიტანოს, შეიძლება საფრთხეში ჩაგვაყენოს — მაგრამ აზროვნება ნიშნავს სიცოცხლეს. სიცოცხლე და აზროვნება ერთია“(მ. აიზენშტეინი, 2023)

აზროვნების პროცესების განადგურების საწყისი საკუთარი წარმოდგენების შიშშია ფესვგადგმული; ჩნდება განუკურნებელი ‘ნახევი სულში’ - როგორც წერდა ფროიდი.

დასკვნა

ქართლის დედის სიმბოლო რთულად ექვემდებარება დეკონსტრუქციას. თუმცა, თანამედროვე ეროვნული ტრავმები მას ახალ მნიშვნელობას ანიჭებს. ამის მაგალითია პატარა გოგონას მიერ შესრულებული ნახატი „პიეტა“, რომელიც 2024-25 წლების დარბევებს ასახავს. აქ ქართლის დედა ჩამოდის პიედესტალიდან — ის აღარ არის მასპინძელი. სახელმწიფო, მაკასტრირებელი სახით, ცდილობს დაიმორჩილოს თავისუფლებაში დაბადებული შვილები. შვეიცარიული ჰელვეციასგან განსხვავებით, საქართველოში ეს ტრანსფორმაცია — წარსულის ხატიდან თანამედროვე სარკემდე — ჯერ კიდევ ძიების პროცესშია.

ქართლის დედის თანამედროვე ინტერპრეტაციები მიგვანიშნებს იმაზე, რომ პოსტსაბჭოთა კონტექსტში, ის ფუნქციონირებს როგორც ტრანსფერული ობიექტი, რომელზეც საზოგადოება პროეცირებს შიშს, ნოსტალგიას, გაუცნობიერებელ აგრესიას. ქანდაკება, როგორც ფიზიკური ობიექტი, ხშირად გაცილებით მეტია, ვიდრე ვიზუალური სიმბოლო — ის არის ინერციის, ისტორიის და იდეოლოგიის მატარებელი სხეული. ქართლის დედის ქანდაკება, თითქოს უძრავი და უცვლელი, სინამდვილეში ცოცხალი სარკეა — კოლექტიური ტრავმის, გადაუმუშავებელი ისტორიისა და ფსიქიკური დახლეჩის ანარეკლი. ქანდაკება არ უნდა დარჩეს მხოლოდ იდეოლოგიური წარსულის ნასახად; ის უნდა იქცეს დიალოგის, ფიქრის წამომწყებად — და თუ, როგორც მარილია აიზენშტაინი წერს, აზროვნება ნიშნავს სიცოცხლეს — მაშინ ფსიქოანალიზი სწორედ ამ სიცოცხლის ხელახლა მოხმობის ერთ-ერთი ქმედითი ფორმაა.